PX 4763/1.
n 15/1071

41

ვრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

acebook.com/Margvelashvili

გიორგი

მე ვფიქრობ, ის ვალდებულება ჩემს თავზე და ვალეულობ იმით, რომ თანამოაზრეებთან და რაც მთავარია, ხალხთან ერთად ყველა ჩვენგანისათვის სასურველი, მაგრამ საოცნებო სამართლის მშენებლობაში ერთად დიდი ბიჯივი მივდგა წინალ.

გიორგი მარგველაშვილი



გიორგი მარგველაშვილი

დავიბადე 1969 წლის 4 სექტემბერს, თბილისში. დედა, მზია გომელაური, ფსიქოლოგია, მამა, თეიმურაზ მარგველაშვილი - ინჟინერი.

მთაწმინდაზე გავიზარდე, ჩვეულებრივ თბილისურ ოჯახში. წარმოიდგინეთ 70-იანი წლების ქალაქი. ხალხი მშვიდად ცხოვრობდა ერთ ადგილას, თბილისიც უფრო პატარა იყო....

მშობლებთან ერთად ჩემს აღზრდაში აქტიურად მონაწილეობდა მრავალი სხვა ადამიანი ფართო საახლობლო წრიდან. განსაკუთრებული როლი ჰქონდა დიდედას, ქეთევან ტატიშვილს - აქტიურ, ძლიერ ქალს. დიდედაჩემი 60 წლის განმავლობაში იყო მასწავლებელი და მთელი უბანი იცნობდა. მასთან ერთად რომ დავდიოდი, ქუჩაში უამრავი ადამიანი, როგორც თვითონ უწოდებდა - "ნამონაფარი", სიყვარულით ესალმებოდა და მოიკითხავდა. ასე რომ, მისი დამსახურებაცაა, რომ პედაგოგის პროფესია თავიდანვე განსაკუთრებული პატივისცემის საგანი იყო ჩემთვის.

5 წლის ასაკიდან დავიწყე ინგლისურის სწავლა. დავამთავრე №1 საშუალო სკოლა.



დედა ძალიან ბევრს მიკითხავდა. მე-3 კლასიდან უკვე თავად დავიწყე კითხვა. კარგად მახსოვს პირველი დამოუკიდებლად წაკითხული წიგნი: „ბიბლიური თქმულებები" - ადვილად აღსაქმელი, ჩვეულებრივი ენით მოყოლილი ამბები. წიგნის კითხვა ჩემთვის უფრო მდგომარეობაა, ვიდრე ინფორმაციის მიღების საშუალება. დღესაც სამაგიდო წიგნების რეჟიმში ვცხოვრობ. არსებობს რამდენიმე ძვირფასი წიგნი, რომელთაც კვლავ და კვლავ ვუბრუნდები: ბიბლია, "იოსები და მისი ძმები", „ოსტატი და მარგარიტა", „ვეფხისტყაოსანი",

ვაჟა-ფშაველას მთელი შემოქმედება, რუსული „ვერცხლის საუკუნის" პოეზია, შექსპირის სონეტები – საერთოდ, ლიტერატურას უფრო როგორც პოეზიას ვკითხულობ...

ხუთი წლიდან ძალიან მინდოდა ძაღლი მყოლოდა და ბევრს ვკითხულობდი ცხოველების შესახებ.

ამან მიმიყვანა ცხოველთა ფსიქოლოგიამდე, ცხოველთა ფსიქოლოგიამ - ზოგადად ფსიქოლოგიამდე, ამან კი - ფილოსოფიამდე. მე-9 კლასში ვიყავი, როცა არაჩვეულებრივი ადამიანი, თაზო ბუაჩიძე გავიცანი და სიარული დავიწყე ფილოსოფიის ინსტიტუტში. ბატონი თაზოს გარდა ამ გარემოში თავს იყრიდნენ მაშინდელი ქართული სულიერ - ინტელექტუალური ატმოსფეროს შემოქმედნი: ნიკო ჭავჭავაძე, ოთარ ჯიოითი, მერაბ მამარდაშვილი, გივი მარგველაშვილი, ვახტანგ ერქომაიშვილი, ედუარდ კოდუა...

შემდეგ იყო უნივერსიტეტი, ფილოსოფიის ფაკულტეტი. უნივერსიტეტის შემდეგ დავიწყე მუშაობა დისერტაციაზე.

1993-ში ნაშრომი უკვე დასრულებული მქონდა. თუმცა მაშინ სასწავლებლად წავედი პრაღაში და დისერტაციის დაცვა მხოლოდ 1998 -ში მოვახერხე. 1993-ში ჩემი ქალიშვილი, ანა გაჩნდა. მაშინ ქვეყანაშიც და ჩემ პირად ცხოვრებაშიც ურთულესი პერიოდი იყო.

მაგრამ ჩემ მეხსიერებას ის დრო შემორჩა ანას ღიმილით, სიხარულით, რაც მის დაბადებას და ზრდას ახლდა. ანა თხუთმეტ წლამდე ცხოვრობდა ჩემთან, თბილისში. სკოლის ბოლო წელი გაატარა მოსკოვში, შემდეგ ორი წელი იქვე უმაღლესში და ახლა ისევ დაბრუნდა...

ბიოგრაფია

მაგრამ დავუბრუნდეთ 90-იანებს... ფილოსოფია დამოუკიდებლად ცხოვრების, ოჯახის რჩენის შესაძლებლობას არ მაძლევდა. დავიწყე მუშაობა სამთო გამყოლად. როდესაც სეზონი არ იყო, ვმუშაობდი სტამბაში დამხმარე პერსონალად, გამომცემლობაში მენეჯერის ასისტენტად. ინგლისური ძალიან გამომადგა და 1995-ში დავიწყე მუშაობა **NDI**-ში, ჯერ როგორც მთარგმნელმა, მერე - როგორც ასისტენტმა, ბოლოს კი უკვე როგორც პროგრამის ხელმძღვანელმა.

რაც საკუთარი თავი მახსოვს, სულ ვმოგზაურობ. მეორე კლასში ვიყავი, როცა მამაჩემის სამსახურის გამო სირიაში გადავედით საცხოვრებლად. სტუდენტობის ერთი წელი გავატარე ჩეხეთში. უამრავი სამსახურეობრივი მივლინება მქონდა ევროპის, ამერიკის ქვეყნებში, აფრიკაში. ალპინისტური ექსპედიციებით მოვიარე ჩრდილოეთ კავკასია, პამირი, შუა აზია. 90-იან წლებში მეგობრებთან ერთად ძალიან საინტერესო ექსპედიცია მოვაწყეთ. მოვიარეთ პაკისტანი, ინდოეთი, ნეპალი, ჩინეთი, მათ შორის ტიბეტის პროვინცია... ეს იყო მოგზაურობა თითქმის უფულოდ. 2 თვის განმავლობაში გადავაადგილდებოდით ავტობუსებით, ცხენით, ვირით... სხვა კულტურებთან ზიარებამ ძალიან ბევრი რამ შემძინა. მთელი მსოფლიოს შემოვლამ საბოლოოდ ყველაზე მეტად სახლში მშვიდად ჯდომა შემაყვარა.

2000 წელს დავიწყე და ფაქტობრივად 2012 წლამდე ვმუშაობდი საქართველოს საზოგადოებრივი საქმეთა ინსტიტუტში - **GIPA**-ში.

2000 – 2006 წლებში რექტორი ვიყავი. მიმაჩნია, რომ ამ პერიოდში **GIPA** ჩამოვაყალიბეთ სახელმწიფო მმართველობის და ჟურნალისტიკის სფეროში ყველაზე წარმატებულ ინსტიტუტად. 2006-ში ჩავთვალე, რომ რექტორის ამპლუაში ჩემი თავი ამოვწურე და თანამდებობიდან გადავდექი. მსურდა იქვე გამეგრძელებინა მეცნიერული მუშაობა. მაგრამ ისე მოხდა, რომ ოთხ წელში კვლავ რექტორად ამირჩიეს.

ამას წინათ ხალხთან შეხვედრაზე ვთქვი, რომ არასდროს ვყოფილვარ კოჰაბიტაციაში, რომ მთელი ცნობიერი ცხოვრება ოპოზიციაში ვიყავი, და ეს სიმართლეა. პოლიტიკაში ამა თუ იმ ფორმით სულ ვიყავი ჩართული, განსაკუთრებით 2000 წლიდან, როდესაც ინსტიტუტს ვხელმძღვანელობდი და **GIPA** გარკვეული ფორუმი იყო ოპოზიციური მოძრაობისათვის.

2003 წელს ზურაბ ჟვანიამ დარწმუნების მთელი თავისი ნიჭი გამოიყენა, რომ საპარლამენტო არჩევნებში მიმეღო მონაწილეობა. სიის პირველ ათეულში ვიყავი.

მე და ზურა მეგობრები ვიყავით. მაგრამ როდესაც 2003 წლის რევოლუციის შემდეგ მივხვდი, რომ ხელისუფლებაში ნაცმოძრაობა მოდიოდა, ჩამოვშორდი პოლიტიკას და ინდივიდუალური დაპირისპირების რეჟიმში გადავედი.

იმ მომენტში აბსოლუტურად მარტო დავრჩი. მთელი ჩემი წრე, მთელი საახლობლო პოლიტიკაში იყო ჩართული. ყველა ნაციონალური მოძრაობის ირგვლივ იყო გაერთიანებული. გუშინდელი თანამოაზრეები, ვისთან ერთადაც ქვეყნის განვითარებაზე ვმსჯელობდით, ვკამათობდით - ერთ მხარეს აღმოჩნდენ, მე კი - მეორე მხარეს. ეს ძალიან დიდხანს გაგრძელდა.

ერთად გაგვაგრძოთ წინსვლა !

ყველაფერი შეიცვალა 2011 წელს. ბიძინა ივანიშვილთან პირველივე შეხვედრის შემდეგ გამიჩნდა განცდა, რომ ძალიან დიდი ხანია ვიცნობდით ერთმანეთს. ამის მერე დაიწყო თანამშრომლობა, რომელიც ერთად საკეთებელ საქმეს, მომავლის საერთო ხედვას ეფუძნება. თანდათან თანამშრომლობა – მეგობრობაში გადაიზარდა.

ბედნიერი ვარ, რომ ბიძინა გავიცანი, რომ ასეთი წარმოუდგენელი მასშტაბის ადამიანის თანამოაზრე და თანამებრძოლი ვარ. ვგულისხმობ მის ფართო თვალსანიერს, პროცესის დანახვის მასშტაბს, სტრატეგიული ხედვის ძალას, ამ ხედვის ცხოვრებაში განხორციელების ენერგიას. ასეთი მასშტაბისთვის მხოლოდ ინტელექტი არ კმარა, ამას სჭირდება დიდი შინაგანი ძალა, განსაცდელისთვის მზადყოფნა, უნარი, რომ პატარა დეტალებმა არ დაგხიოს უკან...

განათლების მინისტრობის შემოთავაზება მაშინ მივიღე, როცა ყველაზე მეტად მშვიდი ცხოვრება მინდოდა. ბიძინასთან შევთანხმდით, რომ ეს მხოლოდ ერთ წელს გაგრძელდებოდა. რეალურად ასეც მოხდა, თუმცა ახალი შემოთავაზება კიდევ უფრო მაღალ პასუხისმგებლობას და ამავე დროს, დიდ ტვირთს გულისხმობს. მაგრამ როდესაც ვუყურებ ამ მასშტაბურ გეგმას, ვხედავ პერსპექტივას, რომლისკენაც ყველანი ერთად მივდივართ, მიმაჩნია, რომ მიუტევებელი იქნებოდა ქვეყნის მსახურების ვალდებულებისთვის თავის არიდება.

მე ავიღე ეს პასუხისმგებლობა და ვამაყობ, მომწონს, და მიტაცებს ჩემს თანამოაზრეებთან, რაც მთავარია, ხალხთან ერთად იმ დიდი გამოწვევის პირისპირ დგომა, რასაც ყველა ჩვენგანისათვის სასურველი, მართლა საოცნებო საქართველოს მშენებლობა ჰქვია.

ბიოგრაფია

ეროვნული ბიბლიოთეკა

41

ვიზიტი

გიორგი მარგველაშვილი